საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ჩოჩეთი

ზემო ჩოჩეთი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 მ, კასპიდან 14 კმ, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 კმ. 600 მცხ. (2002). სოფელში, თოიძიანთუბანში, შემონახულია ნატეხი ქვით ნაგები XIV–XV სს. საბრძოლო კოშკი, ოსეფაანთუბანში – რიყის ქვით ნაგები გვიანდ. შუა საუკუნეების მეორე კოშკი, ოკაანთუბანში – აგურით ნაგები მარიამ ღვთისმშობლის XVIII–XIX სს. ერთნავიანი ეკლესია. სოფლის განაპირას, ჩრდ-ით აღმართულია ნატეხი და რიყის ქვით ნაგები ეკლესია, რ-იც X ს. დასასრულს მიეკუთვნება. სოფლის სასაფლაოზე დგას აგრეთვე ამავე მასალით ნაგები IX–X სს. წმ. სამების ერთნავიანი ეკლესია.